დარიგება და ნუგეში

„ ხოლო ვინც წინასწარმეტყველებს, ის ადამიანებს ელაპარაკება აღსაშენებლად, სანუგეშოდ და გასამხნევებლად“ (I კორ. 14, 3)

უბრალო დარიგება მართლმადიდებლური ეკლესიის გამოცდილებიდან

წმინდა ანგელოზების სახ. დედათა მონასტრის გამოცემა
ათიდნე ატიკა საბერძნეთი
№ 12 • აგვისტო 2018

✠ სარჩევი ✠

• ტექსტი № 1 : „უწყოდნენ როგორ ეცხოვრათ!...“
სასოება: სიცოცხლე ზეცით

• ტექსტი № 2:
თხრობაჲ სასწაულთათვის წმინდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოჲსთა

• ტექსტი № 3: აბორტი გაიკეთა
„არ ძალმიძს ვეცრუო საკუთარ თავს...“

• ტექსტი № 4: „ძლეულ-იქმნეს ბუნებანი მეტყუელნი...“
სამი სხივმფენი ვარსკვლავი ყოვლადპატიოსანი ღმრთისმშობელისა

• ტექსტი № 5:
„იგი მეგობრად ჩვენდა იწოდების...“

• ტექსტი № 6: „არა მრავალთა ასხენ ყურნი სმენად“
გულისხმიერება სიყვარულის საუკეთესო გამოვლინებაა

• ტექსტი № 7: მღვიძარე სინდისი
„დღითი დღე ახლოს სასუფეველთან“

„უწყოდნენ როგორ ეცხოვრათ!...“

სასოება: სიცოცხლე ზეცით*

„ისინი ყოველივეს სულგრძელებით დაითმენდნენ!“

სასოება კაცთა მომართ ღვთის სიყვარულისა და მფარველობის რწმენის ნაყოფია!

– „მღვიძარე იყვენით“, – ამბობდა ერთი ღვთივგანბრძნობილი მამა, – რათა ეშმაკმა თვალნი სულისა თქვენისანი უიმედობით არ დაბუროს და ყველაფერს მუქ ფერებში არ აღიქვამდეთ.

ეკრძალეთ დრტვინვას. თქვენი სამდურავები ღლიან გარშემო მყოფთ და არც ღვთისთვის სათნო არიან, – ისინი ხომ ურწმუნოებისა და უმადურობის ნაყოფია.

„ყოველი დღე ლოცვით დაიწყეთ და მხიარულ-იყოს პირი თქვენი.

გახსოვდეთ, რომ ასე ცხოვრობდნენ ჩვენი მამანი. გულის სარკეზე გამოეწერათ, გარეშეთათვისაც მუდამ ჰქონდათ ლმობიერებით სავსე სიტყვები: „მშვიდობა თქვენდა“ და „დიდება უფალს“ – უწყოდნენ ღვთისთვის სათნოდ როგორ ეცხოვრათ!

განა არ ჰქონდათ მათ პირადი მწუხარებანი? სნეულნიც იყვნენ და სახმართაგან ნაკლულევანნიც, მაგრამ ყოველივეს ღვთის სასოებით დათმენა შეძლეს: ლოცულობდნენ, მოთმინედ იდგნენ და იმარჯვებდნენ.

(*) ვარნაკოვის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის გამოცემა, „მადლმოსილი ვარნაკოვის ღმრთისმშობელი“, გვ. 57, 2011.

თხრობაჲ სასწაულთათვის წმინდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოჲსთა

სასწაული მეთორმეტე

საკჳნებელსა დიდებულისა მამისა შიოჲსსა იყო ერისა კრებაჲ მონასტერსა მღჳმისასა და მუნ იყო მეფე და ყოველნი მთავარნი, ჩუეულებისაებრ, და სარმიანე მამათმთავარი, ყოველთა თანა ეპისკოპოსთა თჳსთა. იყვნეს ვინმე კაცნი მეგჳპტელნიცა მაშინ მუნ სარწმუნოებისაგან იაკობთაჲსა, რომელნი მოვიდეს ქალაქით ტფლისით. ამათ, ვითარცა იხილეს მოსლვაჲ-კათალიკოზისაჲ, მივიდეს წინაშე მისსა და მიართუეს ძღუენი რაჲმე ქუეყანისა მათისაჲ. და მოიღეს რაჲ კურთხევაჲ მის მიერი, ჰრქუეეს მას: „წმიდაო მეუფეო, ღირს მყვენ დღეს ზიარებად წმიდითა ჴელითა შენითა“. ხოლო მან არარაჲ გამოიკითხა, თუ ვინ, რომლისა სარწმუნოებისანი არიან, არამედ ჰრქუა დიაკონსა თჳსსა, რაჲთა ჟამსა ზიარებისასა მოიყვანნეს იგინი.

იქმნა უკუე წმიდაჲ ჟამისწირვაჲ და მივიდეს კაცნი იგი, და აზიარა კათალიკოზმან სარმიანე ჴელითა თჳსითა.

გამოვიდეს რაჲ ეკელესიით, ისტუმრნა მეფემან სერსა თჳსსა ყოველნი, და წარვიდა კათალიკოზი მას დღესა მცხეთად, რამეთუ მოუწოდდა მას ხვალისა დღე ჴსენებაჲ ყოველთა სულთა ქრისტიანეთაჲ.

მოიწია რაჲ მწუხრი, ძილსა შინა გამოუჩნდეს ვინმე სარმიანე კათალიკოზსა, კაცნი დიდებულნი ხილვითა და საშინელნი ხატითა, და ერთი იგი იყო მღდელთმოძღუარი, ხოლო თავსა მისსა ზედა მდებარედ კუნკულისა მსგავსი რიდე, ხოლო ერთი იგი - მონაზონი მოხუცებული, რომელსა აქუნდა კუერთხი ოქროჲსა, რომელსა ზედა იყო ჯუარი. და ვითარ იხილნა იგინი, სარმიანეს ზარი-განჰკდა, და იგონებდა, თუ ვინ არიან იგინი. და ვიდრე-იგი ამას განიზრახვიდა, მივიდეს და მოსძარცუეს სარმიანეს ზეწარი მისი, და ესრეთ მღდელთმოძღუარი იგი მიეფარა, ხოლო მონაზონი იგი დაადგრა ზრახვასა შინა მისსა და ეტყოდა: „ჰ სარმიანე, ვითარ ჰხედავ თავსა შენსა?“ და მან ჰრქუა: „ვითარცა განბასრებულსა“. და მან ჰრქუა: „ფრიად გონავსა ეგე?“ და მიუგო კათალიკოზმან: „და ვითარმცა არა, რამეთუ სასწაული ღმრთისაჲ ჩემ ზედა მდებარე მიმიღეთ“.

და გამოჩინებული იგი ეტყოდა: „ჰ ძმაო, რომელთა განაშიშულეს ქრისტე ღმერთი ბუნებისა და მოქმედებისა და ნებისა მისისიგან, და არცა ღმრთეებითა საცნაურ-ჰყვეს იგი და არცა კაცებითა გამოაჩინეს ძალი მისი, და შენ შეიწყნარენ ზიარებად ჯორცსა და სისხლსა ქრიტჱსსა, რაოდენ უფროჲს მძიმედ აღუჩნდეს ცათა და ქუეყანისა შემოქმედსა მას მეუფესა ესე!“

ხოლო კათალიკოზი ეტყოდა: „და ვინ არიან იგინი, უფალო ჩემო?“ და მან ჰრქუა: „იგინი, რომელთაგან ძრუენი მიიღე, და ამან დააბრმო გული შენი არღარა გამოკითხვად, თუ ვინ არიან იგინი, და ესრეთ შეურაცხჰყავ სჯული ღმრთისაჲ მწვალებელთა მათ ბილწთა მიერ, და აჰა ესერა შიშველ ხარ მადლისაგან ღმრთისა შენცა“.

ხოლო შეშინებულ იქმნა იგი სიტყუათა მათგან და ზარტეხილ, და ძლით მიუგო მას, ვითარმედ: „და შენ ვინ ხარ, უფალო ჩემო, რომელი ეგრეთ ეძიებ ცხორებასა ჩემსა, ანუ ეპისკოპოსი იგი ვინ იყო, რომელი პირველ ვიხილე შენ თანა?“

ჰრქუა მას მოხუცებულმან მან: „ეპისკოპოსი იგი - კჳრილე მამამთავარი ალექსანდრიისა, რომელმან მრავალი ღუაწლი თავსიდვა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისათჳს მართლმადიდებელთაჲსა, რომელი დღეს შენ დასთრგუნე არაწმიდად. ხოლო მე ვარ მონაჲ ღმრთისაჲ შიო, რომელი გეტყჳ“, და უჩინო იქმნა მისგან.

და განჰკრთა ძილი სარმიანეს და შეშფოთებულმან იწყო ურვად და მწუხარებად, და მსწრაფლ უბრძანა, რაჲთა ყოველნი ეპისკოპოსნი შემოჰკრბენ ეკლესიად, და მიუთხრა ჩუენებაჲ ესე მრავლითა ცრემლითა, და იკითხვიდა მათგან, თუ ვითარ ყოს სინანული საქმისა მისთჳს.

ხოლო მათ განბჭეს ესრეთ: „რაჲთა პირველად მოიღოს ძღუენი იგი, იაკობთა მათგან მიღებული, და გარეშე ბჭეთა დაიწუვას. ხოლო შენ აღიმსთუე და მივედ წმიდისა შიოჲს მონასტერსა და პირველად მადლი აღუარე, რამეთუ ესრეთ მოღუაწებით გამოგეცხადა, და მერმე ორმეოცთა ამათ დღეთა დიდითა მოღუაწებითა აჩუენე სინანული. ხოლო ჩუენ განვეკრძალნეთ ყოველნი თჳთოეულად ლოცვასა და მარხვასა, და ვევედრნეთ ღმერთსა შენდობისათჳს მაგის ბრალისა შენისა. და ინებოს თუ ძვირ ჴსენებლობითა თჳსითა და გამოგჳცხადოს-ცა აღსასრული

➔ გაგრძელება იხ. მე-8 გვერდზე

■ აბორტი გაიკეთა

„არ ძალმიძს ვეცრუო საკუთარ თავს. მცნება დაგიდეთ „არა კაც-ჰკლა““*

ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელი შეგვიწყალებს მისდამი განსაკუთრებული სიყვარულის გამო

იგი სამრევლოს ყველა საქველმოქმედო საქმიანობოში იღებდა მონაწილეობას. ისე ჩანდა, რომ ეკლესიის ორგანიზმის ცოცხალ წევრი იყო. საიდულოებებს რეგულარულად აღასრულებდა: აღსარებას ამბობდა და ეზიარებოდა. მასზე ამბობდნენ, რომ ქალბატონი ევფროსინე – სამაგალითო ქრისტიანია.

თესალონიკის მახლობლად პატარა ქალაქში ცხოვრობდა. ათონის წმინდა მთიდან ხშირად ჩამოდიოდნენ სასულიერო პირები მსურველთაგან აღსარების მისაღებად.

ქალბატონი ევფროსინეც მათ შორის იყო. მასაც განსაკუთრებით უყვარდა ღმრთისმშობელი და ბევრს ევედრებოდა. სადილს ამზადებდა, გვიდა და თუ სხვა რაიმეს საქმიანობდა, სულ ჩურჩულებდა: „ყოვლადწმინდაო ღმრთისმშობელო, გვაცხოვნენ ჩვენ.“

და სინამდვილეში, სწორედაც რომ ღმრთისმშობელმა იხსნა იგი თავისი მეოხებით. ყველაფერში სამაგალითო ქალბატონი, გულწრფელად არ აღიარებდა ცოდვებს. ის თავის ყველაზე მძიმე ცოდვას მალავდა მოძღვრისაგან. ახალგაზრდობაში მკვლელობა ჩაიდინა და მუცელში მოკლა თავისი შვილი! აბორტი გაიკეთა...

ღმერთი ელოდა მის სინანულს, მაგრამ... იგი მოულოდნელად გარდაიცვალა! ძალიან დამწუხრდა მთელი მრევლი, მეორე დილას ყველა შეიკრიბა მის დაკრძალვაზე. წესის აგებისას გარდაცვლილი გაცოცხლდა! თავიდან მრევლი პანიკამ მოიცვა, მაგრამ შემდეგ ყველაზე მამაცებმა თავი ხელში აიყვანეს და მღვდელთან ერთად გონზე მოსვლაში მიეხმარნენ მას. როდესაც მთლიანად დაუბრუნდა შემეცნება, ცრემლმორეულმა ევფროსინემ ითხოვა მისთვის მოესმინათ.

„შემუსვრილი და დამდაბლებული“ მოუთხრობდა ყველას გარდაცვალების შემდეგ როგორ მიიყვანა მფარველმა ანგელოზმა ღმრთის საშინელ სამსჯავროზე.

გულთამხილავმა უფალმა ბრძანა, რომ მას აქვს უღიარებელი მკვლელობის ცოდვა, რის გამოც შეუძლებელია მისთვის უფლის სამეფოში შესვლა. მაშინ ყოვლადმოწყალე დედოფალი ღმრთისმშობელი მეოხად დაუდგა და ევედრებოდა უფალს ამ სულის გადარჩენას.

„ჰოი, დედაო, მან მკვლელობა ჩაიდინა. მე კი მცნებად დავდე „არა კაც-ჰკლა“. არ ძალმიძს ვეცრუო საკუთარ თავს!“ – უპასუხა უფალმა.

ყოვლადწმინდა ღრთისმშობელი არ დასცხრებოდა ვედრებისაგან, მაშინ დაუთმო უფალმა და ბრძანა: „მე შემიძლია დავუბრუნო იგი მიწიერ ცხოვრებას და თუ ისურვებს თავისი უმძიმესი ცოდვის აღიარებას, იგი გადარჩება“.

„როგორც ხედავთ ღმრთის წამისყოფით საკუთარ სხეულს დავუბრუნდი“, – თქვა მან. „ახლა კი, მსურს ყველას წინაშე ვაღიარო ცოდვა, რომელსაც აქამდე ვმალავდი...“.

ევფროსინემ ცრემლებითა და დიდი სინანულით აღიარა თავისი ცოდვა. დამსწრენი მასთან ერთად ტიროდნენ. როდესაც დაასრულა, მღვდელმა წაუკითხა შენდობის ლოცვა და მან მშვიდად მიიძინა მართალთა ძილით.

* * *

მთელს საბერძნეთში გახმაურდა მაშინ ეს ამბავი. ათეული წლების წინ ადგილობრივ გაზეთებშიც კი წერდნენ ამის შესახებ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამგვარი „მკვდრეთით აღდგომა“ ძალიან იშვიათად ხდება. სინანულისა და ცოდვათა აღიარების შესაძლებლობა მხოლოდ ამ ცხოვრებაში გვეძლევა. საუკუნო განსასვენებელში კი მოგვეგება ცოდვათა ჩვენთათვის და ჩვენი არჩევანის შედეგებს მოვიმკით.

(*) „ამბები ზეციდან“, ვარნაკოვის ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის სახელობის მონასტრის გამოცემა, დორიდა 2005, გვ. 86-87.

მარადის ქალწული მარიამის ყოვლადპატიოსანი მიძინების შესახებ

სამი სხივმფენი ვარსკვლავი ყოვლადპატიოსანი და კეთილშვენიერი ღმრთისმშობელისა*

„ძლეულ-იქმნეს, ბუნებანი მეტყუელნი, შენთჳს ქალწულო უბიწოო“

ა. სავსება მადლისა

ყოველთა ტომთათვის ქვეყანისათა სასიხარულო-მიძინება და ზებუნებრივი აღსვლა ზეცისა სავანეთა მადლმოსილი ღმრთისმშობელისა სხვა ღმრთისმშობლის დღესასწაულებზე უფრო მეტად აღძრავს კეთილკრძალულთ და ყოვლადწმიდის მოყვარულთ, შეჰნატრონ დახოტბა შეასხან ყოვლადუბიწო ღმრთის ასულს.

ჭეშმარიტად, ყოვლადწმიდა ქალწული წყაროა სიხარულისა და ნეტარებისა და როგორც ჩვენი მართლმადიდებელი წმინდანები დიდების მეტყველებენ:

„ღმრთისმშობელი სრულ-ჰყოფსმათ ნეტარებას, ვინც მოუკლებელად ღმრთისმოშიშებით უგალობს და შესხმას უძღვნის მას“.

ვითარი სახით, აზრით, ვითარი გულით და ბაგეებით შეგვიძლია შევიცნოთ ჩვენ ცოდვილებმა მთელი სიდიადე ყოვლადკურთხეულისა და აღვავლინოთ ქება მისდამი, მადლთა მშობელისა? როგორ შევამკოთ ყოვლად მიმადლებული-აღსავსე სულის წმიდის სრული მადლისმიერი ნიჭებით?

„ღმრთისმშობელი ტაძარ-არს ყოველთა საღმრთოთა მადლთა სისრულისა“ - ამბობს ღირსი ნიკოდიმოს მთაწმინდელი, „და მასში დიან ყოველნი მდინარენი ნიჭთანი, რომელთაც მხოლოდ ნაწილობრივ მიიღებენ ყველა ზეციური და მიწიერი ქმნილებანი - გუნდნი ანგელოზთანი და კაცთა ნათესავი ერთად“. ამგვარად, „იგი მხოლოი იქმნა ხიდ-შემაერთებელშემოქმედსა და ქმნილებას შორის“.

ყოველთა დედოფალმა ქალწულმა სამგზის მიიღო „სისავსე ყველა ღვთაებრივ, მადლმოსილ ნიჭთა“: უწინარეს შობისა სიტყვისა ღმრთისა, შობასა მისსა და შემდგომად თვისისა უკვდავისა დაძინებისა: „პირველი საკვირველება ესე დიდ-არს, მეორე უაღრეს ამისა, ხოლო მესამე უზესთაეს ყოველთასა“.

ვინმე შეუძლოს თხრობად ჩვენდა მრჩობლნი საკვირველებანიუბიწოისაქალწულისა?... ყოველნი გამოუთქმელნი და მიუწვდომელნი საიდუმლონი, რომელნიც აღასრულა მას ზედა კაცთმოყვარე უფალმან?...რომელმან

„შეამკო იგი სამი საღმრთო ნიჭით, ვითრცა სამი გასხივოსნებული ვარსკვლავით, რომლითაც არავინღირს-ქმნილა დედათა შორის: ქალწულებაი პირველ შობისა, შობასა შინა ქალწულებაი და შემდგომად შობისა ძისა კვალად ქალწულებაი - სხვაგვარად რომ ვთქვათ - ჰგიეს ქალწულად საუკუნოდ“5.

ამ მიზეზით, კეთილმსახური ხატმწერები იყენებენ მთელ თავის ხელოვნებას რომ „საიდუმლოდ“ გამოსახონ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მარადის ქალწულება.

„როდესაც ჩვენ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატს ვხატავთ“ - წერს ღირსი ნიკოდიმოსი, „ჩვენ გამოვსახავთ სამ ვარსკვლავს: ერთს მის ყოვლადუბიწო ქალწულებრივ თავზე, ერთს მარჯვენა და ერთს მარცხენა მხარზე - ნიშნად იმისა, რომ უხრწნელი დედოფალი ღმრთისმშობელი იყო ქალწული შობამდე, შობისას და შემდგომადშობისა“.

ბ. სამი საკვირველი შროშანი

იმედს ვიტოვებთ, რომ ყოვლადსანატრელი დედოფალი მოგვიტევებს ჩვენს კეთილკრძალულ კადნიერებას, მის უსაზღვრო და გამოუთქმელ ბრწყინვალებაზე დიდების მეტყველების მცდელობისას, „რომლისათვის გული უთქუამს ანგელოზთა ხილვად“ და მოვიყვანთ საკვირველ სასწაულს. ეს სასწაული თავისებურად მიაგებს პატივს, დიდებასა და ქებას ღმრთისმშობლის დიდებულებას, რომელშიც წმ. ანდრია კრიტე-

ლის თქმით, „განხორციელდა დიდი საკვირველი განგებულებისა ღმრთისა“ და რომელიც გამოჩნდა „ახალი საწმისი დაულევნელი მირონისა“.

ქრისტეს შობიდან დაახლოებით 700 წელს, ათენში ცხოვრობდა ერთი ქრისტიანი კაცი, სახელად ეგიდი. იგი ფრიად განსწავლული იყო საღმრთო საქმეებში და უფრო მეტად კი განბრძნობილი სათნოებებით. მშობლების გარდაცვალების შემდეგ, მან მთელი თავისი ქონება გლახაკებს დაურიგა და იერუსალიმის შემოგარენში დასახლდა. იგი უდაბნოს სიღრმეში ერთ გამოქვაბულშიდაემკვიდრა,რომელიც წყაროს გვერდით მდებარეობდა და ხშირი ხეებით იყო დაბურული. ღირსი ეგიდი მკაცრ მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდა, მცირეოდენი ნედლი ბალახით იკვებებოდა, მუდმივად მღვიძარებდა და მოუკლებელ ღმრთისმსახურებას ეძლეოდა, შეერთებულს ჭვრეტასა და ლოცვასთან. ამგვარად, იგი სულიწმიდის მადლით ღირს იქმნა მრავალი სულიერი ნიჭებისა, მათ შორის წინასწარცნობისა.

მისი სამოღვაწეო ადგილის სიახლოვეს იყო ციხე-სიმაგრე,რომელშიც ერთი სწავლული ცხოვრობდა. ამ უკანასკნელს მიუდგა ეშმაკი და მისი გონება ეჭვებით მოიცვა:

„ვითარ შესაძლებელ-არს, რომელ შემდგომად შობისა, ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელი გახდა დედა და დარჩა ქალწული?“

მას სძლიერ სტანჯავდა ეს აზრი, ვერ პოულობდა ისეთ პასუხს, რომელიც დააწყნარებდა მის გონებას.

და აი, გაიგო, რომ განდეგილი ეგიდი დაჯილდოვებულია ღმრთის მადლითა და კაცობრივი სიბრძნით და გაემართა მისი გამოქვებულისაკენ, რათა თავის მტანჯველ ფიქრებზე კითხვა დაესვა, იმ

იმედით, რომ გათავისუფლდებოდა გმობის აზრებისაგან.

სანამ იგი ჯერ კიდევ გზად იყო გამოქვაბულისაკენ, ღირსი მამა გამოვიდა მის შესახვედრად, რამეთუ ღმრთის მადლმა აუწყა სწავლულის მოსვლისა და მისი განზრახვის შესახებ.

როდესაც ისმიუახლოვდა სენაკს, თაყვანისცა წმინდა მოღვაწეს. წმინდა ეგიდიმ არაფერი უპასუხა მას, დაჰკრა კვერთხი კლდეს და ხმამაღლა წარმოსთქვა:

– „ქალწული უწინარეს შობისა“.

და იქვე ქვიდან აღმოსცენდა საკვირველი შროშანი,ზეციური კეთილსურნელებით.

შემდგომ კვლავ დაამტკიცა კვერთხის ცემით:

– „შობასა შინა ქალწული“.

და აღმოსცენდა მეორე უმშვენიერესი შროშანი, ვითარცა პირველი.

წმინდა მამამ მესამედ დაჰკრა კლდეს კვერთხი და აღიარა:

– „და შემდგომად შობისა ქალწული“.

და იქვე წამოიზარდა მესამე შროშანი, ულამაზესი ყოველთა.

ამის შემდეგ წმინდანი შებრუნდა და თავისი სენაკისაკენ გაემართა, ისე რომ აღარ წარმოუთქვამს არცერთი სიტყვა.

სწავლული შეეძრწუნა მომხდარმა. ამგვარად, ის გათავისუფლდა ბოროტი აზრებისგან და ყველას მოუთხრობდა ამ სასწაულის შესახებ, სადიდებელად უფლის ყოვლადუბიწო დედისა.

(*) ჟურნალი „წმინდა კვიპრიანე“ № 315/ივლისი-აგვისტო 2003, გვ.249-250.

„იგი მეგობრად ჩვენდა იწოდების... ვუწყით სიყვარული მისი...“ *

„თქვენ მეგობარნი ჩემნი ხართ“ (იოანე 15, 14), - ამბობს მაცხოვარი სახარებაში და გვიწოდს ჭეშმარიტად მეგობრად ვიგულოთ იგი. ჩვენც თანაგვაძს შეუორგულებლად ვერწმუნოთ, თავადაც მეგობრად შევრაცხოთ და მივეახლოთ მას.

დავეცით? ვცოდავთ? - სიყვარულით და სარწმუნოებით ვისწრაფოთ მისკენ, ვითარცა უმახლობელესისკენ, არა სასჯელის შიშით, არამედ კაღნიერად, იმის შეგრძნებით, რომ „იგი არს მეგობარ ჩვენდა“, შევღაღადოთ: „უფალო, შეგცოდე, მომიტევე მე“.

და უფალიც არ დააყოვნებს, უმალ შევიგრძნობთ მის სიყვარულს, ვიგრძნობთ როგორი სითბოთი და სიყვარულით შეგვიტკბობს, შეგვიეფერებს და ცოდვებს შეგვინდობს.

დაე, ნურასოდეს განგვაშორებს ცოდვა ქრისტესგან! ნუ იყოფინ! გვწამდეს, რომ „ღმერთი სიყვარული არს (1იოანე 4,8), თავადაც ვეგნეთ სიყვარულსა ზედა მისსა და ეს სიყვარული, ორმხრივი და ყოვლისმომცველი, ცოდვით დაცემულთაც დაგვიფარავს ღვთისგან უცხო ქმნისაგან და არ განგვაშორებს მას.

(*) „პროტატოს“, N. 119/ივნისი-სექტემბერი, 2010, გვ.95.

■ „არა მრავალთა ასხენ ყურნი სმენად“

გულისხმიერება სიყვარულის საუკეთესო გამოვლინებაა*

„ეკლებიანი ზღარბიც კი არ დაგჩხვლეტს, თუ მზრუნველად და ფაქიზად შეავლებ ხელს“...

უფალი, ვითარცა მამა და შემოქმედი, გვიჩვენებს უმაღლეს გულისხმიერებასდა შემდეგი სიტყვებით აღგვძრავს ურთიერთგაგებისაკენ: „და ვითარცა-იგი თქუენ გნებავს, რაჲთა გიყონ კაცთა, თქუენც აეგ რეთვემსგავსადუყოფდითმათ“(ლუკა 6,31).

ეს ღვთაებრივი წვდომა ადამიანური უძლურებისა და დაუშრეტელი მისწრაფება კაცისა ზეცისაკენ, ცოდვით დაცემის შედეგად დაკარგული სამოთხისაკენ, გასაგებს ხდის ღმერთის დიდბუნებოვნებასა და სულგრძელებას სულით ტანჯული ადამიანისადმი, რომლის გადარჩენაც მას სურს.

თუმცა გაგება სრულიადაც არ ნიშნავს ცოდვიანი მდგომარეობის მოწონებასა და მიღებას, არამედ სათუთ მოპყრობას და მიდგომას ცოდვით თუ უმეცრებით გაწამებული ადამიანისადმი, თუ ამ უკანასკნელს კეთილი ნება და სურვილი გააჩნია.

ჩვენს დროში გაგების წყურვილი გაცილებით ძლიერია, ვიდრე უწინ.

ჩვენ ინდივიდუალიზმის ეპოქის ტრაგედიას განვიცდით.

არა მრავალნი არიან, რომელთაც ასხენ ყურნი, რათა სასმენელნი მიუპყრონ მოყვასს, გაუგონ მას და შეუმსუბუქონ ჯვარი. არადა რამდენად ნათელი იქნებოდა ცხოვრება ამუტკბესი და კეთილისმოქმედი „დამამშვიდებელი“ – ურთიერთგაგებით! და რა მარტივია მისი ბოძება, თუ კი მოვინდომებთ! და მაშინ ღმერთი დაგვაჯილდოვებს იმავეთი, ადამიანებს რომც არ შეეძლოთ მისი მოცემა.

რას მიანიშნებს ასობით ახალგაზრდა ყმაწვილის სტუმრობა ბერებთან ათონის წმიდა მთასა თუ საბერძნეთის სხვა ადგილებში, მხოლოდ ერთს, რომ ისინი ეძიებენ ღმრთის კაცს, რომელიც მათ მოუსმენდა, გაუგებდა, ღმრთისმიერ რჩევა-დარიგებას არ დაიშურებდა და ანუგეშებდა. დაე, აღადგინოს უფალმა ამგვარი სულიერი მამანი და დედანი, რათა დაარწყულოს გაგებისა და დამოძღვრის წყურვილი თავისი ხალხისა.

ოჯახშიც ასევე უნდა სუფევდეს ურთიერთგაგება და სიყვარულით თანადგომა, განსაკუთრებით კი, ოჯახის წევრების სულიერ მოთხოვნათა გათვალისწინებით. სხვაგვარად შედეგები ხშირად სავალალოა: სიცივე, მარტოობის შეგრძნება, წყენა, უფსკრული ამოუვსები!

არც თუ ისე ძნელია, შევცვალოთ ჩვენი მოპყრობა, თუ ვიფიქრებთ, რომ ვიღაცის სული – მსგავსი ღმერთისა, ცხოვრობს და სუნთქვას ჩვენს გვერდით, ჩვენი გულისხმიერების, ღიმილის და შეწევნის მოლოდინში. რაც არ უნდა გამხეცებული და დაცემული მოგვეჩვენოს იგი, სული მაინც ყოველთვის ღმრთის ხატებად რჩება!

და ნურც ანდაზას დავივიწყებთ: „ეკლებიანი ზღარბიც კი არ დაგჩხვლეტს, თუ მზრუნველად და ფაქიზად შეავლებ ხელს“...

* * *

საბედისწერო დაგვიანება

მძიმე სულიერი მდგომარეობისას თანაგრძნობისა და გულისხმიერების არქონამ, შეიძლება საშინელი შედეგები გამოიღოს, როგორც ქვემოთ მოყვანილ შემთხვევაში.

ეს საზარელი ამბავი ერთ ხანდაზმულ კაცს, კეთილ ქრისტიანსა და ეკლესიის მსახურს შეემთხვა. ის მთელი დარჩენილი ცხოვრება მუდამ იხსენებდა მომხდარს და ცრემლით და ღრმა სინანულით იგლოვდა.

• ერთ დილას იგი ეკლესიიდან მთავარეპისკოპოსის სახლისაკენ მიემართებოდა, რომელიღაც საეკლესიო საკითხთან დაკავშირებით დათქმულ შეხვედრაზე. ცენტრალურ ქუჩაზე, ნაცნობ ახალგაზრდა კაცს გადაეყარა. კაცი თავს არ ეკუთვნოდა, გაშმაგებული იყო, გაწეწილი თმებით და სასოწარკვეთილი სახით.

მამასახლისი შეძრა მისმა სახემ.

– „რა მოგვიდა გიორგი, რა მოხდა?“... მხოლოდ ამის თქმა მოასწრო, რომ ის აფეთქდა.

– „შემეშვი, ბატონო დიმიტრი, დამანებე თავი! აღარ შემიძლია სახლში გაძლება! თავს დავიხრჩობ, წყალში გადავვარდები!“

– „აბა, რას ამბობ?“ – შეეპასუხა მოხუცი.

– „იმას, რაც გესმის! გაქვს ცოტაოდენი დრო? ყველაფერს მოგიყვები, გულს მოვიოხებ, სულს მოვითქვამ!“, ჰკითხა იმ იმედით, რომ მამასახლისი გულისხმიერებას გამოიჩენდა, დროს დაუთმობდა და მოუსმენდა.

მაგრამ ვაი, რომ სამწუხაროდ, მან ვერ შეაფასა სიტუაცია და უთხრა:

„სიხარულით მოგისმენდი, ჩემო კარგო, მაგრამ ახლა შეხვედრა მაქვს მეუფესთან დანიშნული. გინდა, მოგვიანებით დავსხდეთ კაფეში?“... –შესთავაზა დიმიტრიმ.

უარით გასტუმრებული და იმედგაცრუებული მშრალად დათანხმდა „კარგიო“ და უფრო მეტად აღელვებული დაშორდა.

■ მღვიძარე სინდისი

„დღითი დღე ახლოს სასუფეველთან“*

მართალი აღსასრული

ერთი ღვთისმოსავი ქალი (სხვა სულიერ ღვაწლთან ერთად) მუდამ ცდილობდა დაემარხა სიკვდილის ხსოვნა და ხსენება სასუფეველისა, „რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თვისთა“ (1კორნთ. 2,9).

იგი ყოველდღე ყურადღებით გამოეძიებდა საკუთარ სინდისს და როგორც კი იხილავდა რაიმე შეცოდების კვალს, მაშინვე თავისუფლდებოდა მათგან სულიერ მოძღვართან ცოდვების აღიარებით.

ასეთმა სულიერმა საქმიანობამ მას ერთგვარი ღვთისსათნო ჩვევა შესძინა: ყოველ საღამოს განწმენდილი სინდისით თავისთვის ამბობდა:

- „დღეი ეს განვლე მშვიდობით, ერთით დღით ახლოსა ვარსამოთხის კართან!“

ამგვარად, უფალთან შესახვედრად ყოველდღიურად თავის განმზადებაში გადიოდა დღეები და ყოველ საღამოს ისევ ისმოდა:

- „ერთი დღით უფრო ახლოს სასუფეველთან“

ქალმა იქორწინა, წლებმა შესძინა შვილნი და შვილნი შვილთანი, მაგრამ მისი მართალი სული არ დამცხრალა ჩვეული სულიერი მოღვაწეობისგან - ყოველ საღამოს განიწმენდდა გულს და ღვთის სიახლოვის განცდით აღვსილი საკუთარ თავს კვლავ არ აკლებდა ნუგეშისცემას - იმეორებდა:

- „ერთი დღით უფრო ახლოს სასუფეველთან“.

ერთ დღეს ქალმა უძლურება იგრძნო და საღამოს მასთან შემოკრებილ შვილებს უთხრა:

- „ჩემო შვილებო, კიდევ ერთი დღით მივეახლები ღვთის სასუფეველს“.

მეორე დილით გაღვიძებისთანავე ქალიშვილს გაუმხილა:

- „მოიწია ჟამი, დადგა დღე! დღეს განგეშორებით... უხმე ყველას...“

კურთხევის მისაღებად შემოკრებილნი ქალმა ყველა სათითაოდ დალოცა. მერე კი საკუთარ თავთან განმხოლოებული განუწყვეტლივ იმეორებდა:

- „მოიწია ჟამი, დადგა დღე! დადგა წუთი, დადგა წამი!“

უცებ მისი სახე უცხოდ გაბრწყინდა და ბაგეებს ზეციური ღიმილი დაეფინა. მთელი ოთახი ნათლით აივსო და ქალის სული ზეცად აღფრინდა. სარეცელთან შემოკრებილნი მდუმარედ დაჰყურებდნენ დედის სახის საუცხოო მშვენიერებას, რომელიც ანგელოზებთან ერთად ზეცაში ასული, ზეციური სანახების მშვენიერებით უკვე საუკუნო ტკბობისთვის განმზადებული, მისი მართალი სულის ნეტარებას გამოხატავდა.

(*) დეკანოზი სტეფანე კ. ანაგნოსტოპულოს, „ქრისტეში ცხოვრების გზა, საფეხურები“ გვ. 80, პირეა 2011.

თორმეტ საათზე მამასახლისი სახლში დაბრუნდა, მეუღლემ სადილი გაუმზადა. სადილობისას ტელეფონმა დარეკა. ცოლმა აიღო ყურმილი და იმისგან რაც მოისმინა, გაშეშდა და იმავე მდგომარეობაში დარჩა გაქვავებული, ყურმილით ხელში. აღელვებული მამასახლისი შეეკითხა, თუ რა ხდებოდა.

„მე მითხრეს, რომ გიორგი ნავსადგურში დაიღრჩო. ის ეხლახანს იპოვეს წყალში ჩაძირული!“

მეხის დაცემა უფრო ნაკლებად შესძრავდა მოხუცს.

„ეს მე მოვკალი, გიორგი!“... წამოიძახა სასოწარკვეთით აცრემლებულმა დიმიტრიმ.

ცოლი ამაოდ ცდილობდა ენუგეშებინა მეუღლე.

– „რატომ, რატომ გადავდე და არ მოვუსმინე? განა მეუფე გაბრაზდებოდა ჩემზე, მისთვის რომ ამეხსნა?“...

მრავალ სულიერ მოძღვარს აღუარა ეს საბედისწერო შეცდომა. მაგრამ სინდისი, მიუხედავად შენდობის ლოცვებისა, მთელი დარჩენილი ცხოვრება ტანჯავდა.

* * *

ამ კეთილი ქრისტიანის თავს გადამხდარმა უბედურმა შემთხვევამ უნდა დაგვაფიქროს და დაგვეხმაროს გულისხმიერად მოვეკიდოთ მოყვასს გასაჭირში. შეუვრდეთ ღმერთს და ვილოცოთ, რომ მოგვანიჭოს მადლი გულისხმისყოფისა, ნუგეშინისცემისა და თანადგომისა.

შეწევნითა ღმრთისათა!...

(*) „სულიერი სამყაროს გამოვლინებანი – ამბები ზეციდან – ნიშ-სასწაულები“ გამომც. ვარნაკოვის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი, დორიდა 2009, გვ. 222, 231.

➔ დასაწყისი იხ. მე-2 გვერდზე • გღირსი შიო

საქმისაჲ, რომლითა გულსავსე ვიქმნნეთ“.

სათნო-უჩნდა სიტყუჲ ესე კათალიკოზსა, და აღმსთობილმან განთიად, ამცნო ყოველთა ეპისკოპოსთა, რაჲთა დღესასწაული მარტჴლიისაჲ მუნ აღასრულონ. და ევედრა ყოველთა ლოცვასა. ხოლო თჳთ მიიწია მღჳმედ სარკინისა, წინაშე საფლავსა ნეტარისა შიოჲსსა დააგდო თავი თჳსი და მრავლითა სინანულითა და ცრემლითა ესრეთ ეტყოდა: „მამაო, განფინენ წმიდანი ლოცვანი შენნი მამობრივნი წინაშე ღმრთისა, და მითხოვე შენდობაჲ, რამეთუ განვარისხე ღმერთი უდებებითა ჩემითა და მე არა განვიდე ამიერ, ვიდრემდე მოვიღო გულსავსებაჲ ბრალთა შენდობისაჲ“.

და დაადგრა მღჳმესა მას შინა ფრიადითა გულსმოდგინებითა ლოცვისა და მარხვისა მიერ.

მოიწია ღამჱ წმიდისა და დიდებულისა კჳრიაკისაჲ და მიერულა სარმიანეს სიმაშურალითა და იხილა, ვითარმცა დგა წინაშე გოლგოთასა, და ხედვიდა მუნ ჯუარცმულსა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, და ეპყრა იგი კაცთა ვიეთმე საშინელთა. და შეიყვანეს წინაშე ჯუარცმულისა მის და მიჰჴდიდეს სიტყუასა შეცოდებისა მისთჳს. ხოლო იგი აქა და იქი იხედვიდა, რაჲთამცა შემწე-იყო ვინმე, და არავის ჰპოებდა. და აჰა, მიმყოვრებით-რე ხედვიდა, რამეთუ დიდებული იგი მღდელმთავარი კჳრილე, რომელი ეხილვა პირველ, და ნეტარი მამაჲ შიო, მისვე ჯურიანისა კუერთხისა ჴელთა შინა მქონებელი, შეიყვანეს მუნ დიდითა პატივითა და დიდითა ბრწყინვალებითა შემოსილნი. წარდგეს უკუე წინაშე ჯუარცუმულისა ქრისტესსა კადნიერად და ევედრებოდეს სარმიანეთჳს.

ხოლო ჯუარცუმულისა მისგან მყოვარ სადმე მოიღეს ბრძანებაჲ ესრეთ: „ხედავთა, თუ ვითარ ვიწყლვი ჯუარისა ამისგან, და რომელთა მიერ დღითი-დღე შემემთხუევის, მტერნი ჩემნი შეიყვანნა ჭამად ჴორცისა ჩემისა და სუმად მისცა მათ სისხლი ჩემი და არა არს ღირს შენდობისა სარმიანე, გარნა სიყუარულისა თქუენისათჳს და ვედრებისა, მიმიცემიეს შენდობაჲ, და არქუთ, რაჲთა ამიერითგან ეკრძალოს“.

ხოლო მოვიდეს დიდებულნი იგი მამანი და ეტყოდის სარმიანეს: „ძმაო, განმართე თავი შენი ამიერითგან და ეკრძალე“. და მოიღეს იგივე ზეწარი და შეჰმოსეს მას.

განიღჳა უკუე ჩუენებისა მისგან სარმიანე და აღივსო გული მისი სიხარულითა, გარნა იჭვნეულ იყო თუ, ნუ-თუ არა ჭეშმარიტ იყოს ხილვაჲ იგი.

ხოლო გან-რაჲ-თენამოიწია ფილიპე ეპისკოპოსი, რომელი წარმოევლინა კრებასა მას ეპისკოპოსთასა, და მოიღო ეპისტოლე, რომელსა აქუნდა წერილი ესე:

„დიდსა მამამთავარსა მეუფესა ჩუენსა სარმიანეს:

გიხაროდენ! შვილნი შენნი და სიწმიდისა შენისა მრწემნი ყოველნი ეპისკოპოსნი გაუწყებთ, რაჲთა არღარა დააშრობდე მოხუცებულსა გუამსა შენსა, რამეთუ მოწყალე ჰყვეს ღმერთი დიდებულისა მაგის წმიდისა მამისა შიოჲს მეოხებითა და გამოგჯჩნდა უღირსთა მონათა მისთა, რიცხჯთ ხუთთა, და თჳთოეულსა გჯბრძანა, ვითარმედ: „მიუტევა ღმერთმან სარმიანეს კათალიკოზსა ბრალნი მისნი, და აწ შეუორგულებელად მიიყვანეთ მწყემსი თქუენი“. აწ გჯბრძნენ სიწმიდემან შენმან, რაჲთა ყოველნი მანდა მოვიდეთ და მადლი აღუაროთ საკჳრველთმოქმედსა მამასა შიოს“.

ესე რაჲ წიგნი აღმოიკითხა, გულპყრობილ იქმნა სარმიანე, და ბრძანა ყოველთა ეპისკოპოსთა მუნ მოსლვაჲ, ყოველსა თანა სავსებასა ეკლესიისასა, და მრავალი მადლობაჲ შეწირა ღმრთისა და ნეტარისა მამისა შიოჲს მიმართ, და სამადლობელად ამისთჳს განუჩინა,რაჲთა კანდელი ერთი და სანთელი ერთი დაუშრეტელად კათოლიკე ეკლესიით ენთებოდის საფლავსა წმიდისა შიოჲსსა.

დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

• საფოსტო მისამართი: წმიდა ანგელოზების სახელობის მონასტერი, 145 65 აგიოს სტეფანოს, ს.ყ. 51891, საბერძნეთი. • ელექტრონული მისამართი (ე-მაილ): mhangels@hsir.org • ტელეფონი: (+30) 22950 22582 • ფაქსი: (+30) 22950 22582 • გამოიცემა 8 ენაზე: ბერძნული, რუსული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური, შვედური, ჩეხური, ქართული (www.hsir.org\Publications_en\OikodomiParamythia.html) • გაიცემა და იგზავნება უფასოდ. • საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანების ეკლესიის მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ოროპიისა და ფილის მიტროპოლიტ კვიპრიანეს კურთხევითა და ზედამხედველობით.